ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №030

ქ. თბილისი **21 თებერვალი, 2017 წელი**

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ქონების მართვის სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი ფიფიას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „დი ენდ ჯი" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის, დავით მამულაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია, სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით, მონეტარული ზღვრის დაცვით, სახელმწიფო შესყიდვების საქონლის ერთგვაროვნების კლასიფიკატორის CPV 79800000 განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია 20000 ცალი 1გვ. კორესპონდენციის ბარათის ოფსეტური ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვა ხელშეკრულების დანართის შესაბამისად.

1.3 ხელშეკრულების დანართი არის მიმწოდებლის 2017 წლის 18 თებერვლის №107 ინვოისი და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 390 (სამას ოთხმოცდაათი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიწოდებული მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ეტაპობრივად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ქონების მართვის სააგენტო“-ს მთავარი სპეციალისტი მერაბ როგავა.

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, კერძოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებლების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ჯამური ღირებულების 20%-ს მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელ ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სხვა სახის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა

ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება 10% -ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და მოსთხოვს მიმწოდებელს გასვლის მომენტისათვის არსებული გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.5 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით.

8.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.6 ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით და რომელიც შესაძლოა წამოიჭრას მხარეთა შორის, მოწესრიგდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.

15. ინტერესთა კონფლიქტი

წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, შესყიდვის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით მიმწოდებელთან არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ
ქონების მართვის სააგენტო
მის: შარტავას №7
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 741977499
საიდენტიფიკაციო კოდი: 205296375

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „დი ენდ ჯი“
მის: ქ.თბილისი, ალ. აზბეგის გამზ. №35
ს.ს საქართველოს ბანკი
№GE63BG0000000876917700
კოდი: BAGAGE22
ს/კოდი: 404880483

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ფიფია

დირექტორი

დავით მამულაშვილი

შაბათი, 18 თებერვალი, 2017

ინვოისი #107

მიმღები:

მიმღები: (205296375) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო

მიმღების ს/კ: 205296375

მიმღების მისამართი:

ბანკი:

ანგარიშის ნომერი:

ADVERTISING COMPANY

შპს "დი ენდ ჯი"
ს.კ.: 404880483
მისამართი: ვ. ფშაველას გამზ. 9
ტელ.: 2 399 551; 2 399 552
ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE63BG0000000876917700
ელ.ფოსტა: info@vizitka.ge
ვებ.გვერდი: www.vizitka.ge

მიმდინარე პროდუქციის/მომსახურების ჩამონათვალი

შეკვეთის N:	1074	გამყიდველი:	მაისურაძე ელენე
განთავსების თარიღი:	16.02.2017	მყიდველი:	
გადაზიდვის თარიღი:		ინვოისი ჩაბარდა:	

№	პროდ.კოდი	პროდუქციის დასახელება	ზომა	რ-ბი	ერთ.ღირ.	ფასი
1	SAVOFS1	სავიზიტო ბარათები 1გვ. ოფსეტური ბეჭდვით	ცალი	20000	0,0195	390,0000

სულ ჯამი: 390,00 ლარი

სამასოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი

ორგანიზაციის გადახდების ისტორია

სულ შესრულებული სამუშაო	სულ გადახდილი თანხა	ძველი დავალიანება
1 815,43 ლ.	1 815,43 ლ.	0,00 ლ.

სულ დავალიანება:

მიმდინარე პროდუქციის/მომსახურების ღირებულება:	390,00 ლარი
ძველი დავალიანება:	0,00 ლარი
სულ ვალდებულება:	390,00 ლარი

პირველი პირი:

ინვოისი ჩაბარდა:

დავით მამულაშვილი